საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1469/01
18/02/2021

1469-01-2-202102181759

შპს „რულერს“

მის: საქართველო, ქ. ბორჯომი, ფალიაშვილის ქ., № 4

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 26 იანვრის N770 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ბათუმში, ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავის) მოწყობასა და ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, შპს „რულერი“ გეგმავს ქ. ბათუმში, მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავის) მოწყობასა და ექსპლუატაციას (ს/კ 64.23.02.961), ამასთან განცხადებაში წარმოდგენილია შესაბამისი ნაკვეთის საჯარო რეესტრიდან ამონაწერი და საკადასტრო გეგმა, თუმცა საკადასტრო კოდის გადამოწმებით აღნიშნული მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ ფიქსირდება შპს „იბერკომპანი” ს/კ 64.23.02.961 (განცხადება N 882021049908 თარიღი: 02/02/2021). შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას და საპროექტო ტერიტორიის საკუთრების ან იჯარის ხელშეკრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენას.
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორია ცარიელი და აუთვისებელია, თუმცა მონაცემების ელექტრონული გადამოწმებით აღნიშნულ ტერიტორიაზე ფიქსირდება შენობა-ნაგებობა, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას, შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენით (მაგ: დათარიღებული ფოტომასალა).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „რულერი“ უზრუნველყოფს განახლებული/სრულყოფილი

სკრინინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენას აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე